# Hydro Invest GA LLC

№33/10-02

10.10.2022 წ.

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს

გაცნობებთ, რომ შპს „ჰიდროინვესტ ჯი ეი" ადიგენის მუნიციპალიტეტში მდ. ძინძესწყალზე გეგმავს დერივაციული ტიპის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე მცირე სიმძლავრის (5,2 მგვტ) ჰიდროელექტროსადგურის - „ზარზმა ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

პროექტი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ პუნქტი 22 – „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია". ჰესის დადგმული სიმძლავრიდან გამომდინარე პროექტი სკრინინგის ეტაპის გარეშე პირდაპირ ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ მდ. ძინძესწყალზე დაგეგმილი „ზარზმა ჰესი"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ელექტრონული კოორდინატები.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-9 მუხლის შესაბამისად გასცეთ სკოპინგის დასკვნა

პატივისცემით,

ზურაბ გელენიძე

შპს „ჰიდროინვესტ ჯი ეი"-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„17" 10 2022 წ.
№ 5659